ფეხბურთი
თბილისის "დინამოს" გამარჯვება

27 აგვისტოს მოსკოვში თბილისის "დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი მორიგ კალენდარული შეხვედრაში ეთამაშა კუიბიშევის "კრილია სოვეტოვის" გუნდს.

ანგარიში თამაშის მეორე ნახევარში თბილისელებმა გახსნეს. ჯოჯუა მარჯვენა ფრთაზე გაიჭრა და ბურთი მოწინააღმდეგის კარში მოათავსა, ანგარიში 1:0 დიდხანს არ შეცვლილა. 28–ე წუთზე ჭკუასელმა შორი მანძილიდან ლამაზი დარტყმით კუიბიშეველთა კარის ბადე შეარხია (2:0), რამდენიმე წუთის შემდეგ თბილისელებმა შესანიშნავი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც კვლავ ჭკუასელმა გოლით დააგვირგვინა. მეოთხე ბურთი მოწინააღმდეგის კარში მახარაძემ გაიტანა.

შეჯიბრების დამთავრებას რამდენიმე წამი აკლდა, როდესაც კუიბიშეველებმა ერთი ბურთი გაიტანეს თბილისელთა კარში.

ამრიგად, შეხვედრა დამთავრდა თბილისის "დინამოს" გამარჯვებით ანგარიშით 4:1.

„ახალგაზრდა კომუნისტი“, 28 აგვისტო 1952 წ.